საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №45/2013
2013 წლის 16 ოქტომბერი

ქ.თბილისი

„ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 25/09/2012, 010240020.15.008.016060) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მინიმალური მანძილი ნებისმიერი პირისათვის ფოტოვიდეო გადასაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კენჭისყრის შენობა არ იძლევა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის საშუალებას. ასეთ შემთხვევაში გადასაღებ ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე".

3. დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **თამარ ჟვანია**

ცესკოს მდივანი — **გიზო მჭედლიძე**